აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №24

2025 წლის 31 ოქტომბერი

ქ. ბათუმი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დაფუძნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად,

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დაფუძნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 5 ივლისის №62 დადგენილებაში (გაზეთი ,,აჭარა“, №130 (22.392), 13.06.05., გვ.5-6) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სახელმწიფო კონტროლი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონისა და დებულების შესაბამისად განახორციელოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ.“;

ბ) დადგენილების 3^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო უზრუნველყოფს:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დებულების დამტკიცებას;

ბ) „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **სულხან თამაზაშვილი**